ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1043181

ნომერი: AR1182177

თარიღი : 04.12.2013

გაცემის თარიღი : 17.12.2013

გაცნობის თარიღი : 17.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჩოლოყაშვილი , N 3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ჯავახიშვილი პ/ნ 01030008326
- თბილისი ი.მიჩურინის ქ. N 6

ორგანიზაცია:

- ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობა N2 –ის ფასადის ფერისა და მასალის ცვლილებით სარემონტო და მოპირკეთებითი I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება, ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე , გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი, გამზირი ჩოლოყაშვილი , N 3-5 –ში, ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 010/023) არსებული შენობა N2 –ის ფასადის ფერისა და მასალის ცვლილებით სარემონტო და მოპირკეთებითი I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას .პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. ზურაბ ჯავახიშვილის განცხადება ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882013595690 საკადასტრო კოდი N 01.14.07.010.023 და საპროექტო ფოტომომტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე, გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჩოლოყაშვილი, N 3-5 –ში, ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 010/023) არსებული შენობა N2 –ის ფასადის ფერისა და მასალის ცვლილებით სარემონტო და მოპირკეთებითი I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge